ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲠᲔᲠᲝᲛᲬᲘᲜᲓᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ. ᲡᲐᲑᲭ. ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ

ᲙᲐᲜᲝᲜᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ
ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

1933 Წ. ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ 28. № 4 ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ

48. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე პოლიგრაფიულ საწარმოთა გახსნის და მათი მოქმედებისათვის ზედამხედველობის გაწევის წესისა და საბეჭდავი მანქანებისა, შრიფტებისა, სამრავლებელი აპარატებისა და მათი ხელსაწყოების გაცემისა და გაყიდვის წესის შესახებ.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

49. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარეწაო კოოპერაციის სისტემის რეორგანიზაციისა და სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის მუშაობის გარდაქმნის თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

50. სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებში ახალ შენობათა დადგმისათვის და არსებულ შენობათა და ნაგებობათა რეკონსტრუქციის და გაფართოებისათვის საწარმოებელი ყველა სამშენებლო სამუშაოს სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

51. 1933 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

52. თესვის საქმეთა კომიტეტის მოწყობის შესახებ.

53. 1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ.

54. ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობებამდე საგაზაფხულო სამარცვლეულო კულტურების თესვის გეგმის მიწვდენის წესის შესახებ.

55. ცხენთა რიცხვის გამრავლებისა და დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება

56. თამბაქოს გადაყიდვასა და უკანონოდ გაყიდვასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

57. „სამინდე გამოსაღების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ არსებული 1932 წ. დეკემბრის 22-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

58. საბამბე მეურნეობების მიერ კონტრაქტაციის ხელმეკრულობების თანახმად და მტკიცე დავალებების წესით ბამბის (ნედლი ბამბის და ბოჭკის) მთლად ჩაბარების ღონისძიებათა შესახებ.

59. 1933 წელს კარაქისა, რძისა და ყველის სახელმწიფოებრივი დამზადების მოწყობისაა და ჩაბარების წესის შესახებ.

60. 1933 წლის კარაქისა, რძისა და ყველის სახელმწიფოებრივი დამზადების მოწყობის და ჩაბარების წესის შეცვლის შესახებ.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

61. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწყობის შესახებ.

62. სახელმწიფო პედაგოგიკურ ინსტიტუტის რეორგანიზაციისა და ქალ. ქუთაისში გადაყვანის შესახებ.

63. 1933 წელს წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის საჭირო მუშაობის შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

64. საქართველოს სსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოწყობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო მმართველობა

48. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე პოლიგრაფიულ საწარმოთა გახსნის და მათი მოქმედებისათვის ზედამხედველობის გაწევის წესისა და საბეჭდავი მანქანებისა, შრიფტებისა, სამრავლებელი აპარატებისა და მათი ხელსაწყოების გაცემისა და გაყიდვის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს, რომ პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოთა (სტამბა, ცინკოგრაფია და სხვა მისთ.), საბეჭდავი მანქანებისა, შრიფტებისა, სამრავლებელი აპარატებისა (მინაგრაფი, შაპიროგრაფი, როტატორი და სხვა მისთ.) და მათი ხელსაწყოების, დამმზადებელი და მოვაჭრე საწარმოთა აგრეთვე სტერეოტიპების ჩამომსხმელი და კლიშეების დამმზადებელი სახელოსნოების გახსნა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებითა და ავტონომიური ოლქითურთ, შეუძლიანთ სახელმწიფო ორგანოებს, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საქართველოს სსრ მუშათა ტ გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს ნებართვით (ხოლო საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოების ნებართვით); ეს ნებართვა გაიცემა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი საქმის კომიტეტთან სათანადო საკითხის შეთანხმებით.

შენიშვნა. ეს წესი არა ვრცელდება მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის პოლიგრაფიული მრეწველობის ტრესტირებულ საწარმოებზე.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ნებართვა მილიციის სამმართველოებმა უნდა გასცენ ორი დეკადის ვადაზე სათანადო განცხადების შეტანის დღიდან.

ნებართვის მიცემაზე უარის თქმა უნდა ეცნობოს განმცხადებელს იმავე ვადაზე.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნულ საწარმოთა გახსნის შესახებ გაცემული ნებართვა გამოყენებულ უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში ნებართვის გაცემის დღიდან.

აღნიშნული ვადის გასვლისას საწარმოთა გახსნისათვის საჭიროა მიღებულ იქნეს ახალი ნებართვა 1-ლ მუხლში გათვალისწინებული წესით.

4. 1-ლ მუხლში აღნიშნული საწარმონი შეიძლება გადაეცეს სხვა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს მხოლოდ საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს ნებართვით (ხოლო საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე—ამ რესპუბლიკების და ოლქის მილიციის სამმართველო-

ების ნებართვით). ეს ნებართვა გაიცემა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი საქმის კომიტეტთან ამ საკითხის შეთანხმებით.

5. დაწესებულ იქნეს, რომ საბეჭდავი მანქანებისა, შრიფტებისა და მათი ხელსაწყოების გაცემა და გაყიდვა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებითა და ავტონომიური ოლქითურთ, შეიძლება მხოლოდ 1-ლ მუხლში აღნიშნული წესით გაცემული ნებართვის წარდგენისას.

სამრავლებელი აპარატები და მათი ხელსაწყოები შეიძინება სარაიონო და საქალაქო მილიციის სამმართველოების მიერ გაცემული სპეციალური ნებართვით. ამ ნებართვის გაცემის წესი მყარდება საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს ინსტრუქციით.

6. ის სასტამბო შრიფტი, რაც აღარ იხმარება, აუცილებლად ჩაბარებულ უნდა იქნეს ცენტრალიზებული წესით სახელმწიფო ასოთჩამოსასხმელების საჭიროებისათვის.

ასეთი შრიფტის ჩაბარების წესს და ვადას განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი საქმის კომიტეტი საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით; ეს წესი და ვადა გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საყოველთაო ცნობად.

7. საადმინისტრაციო ზედამხედველობას 1-ლ მუხლში აღნიშნულ საწარმოთა მოქმედებისათვის და მეთვალყურეობას სამრავლებელი აპარატების წესიერად გამოყენებისათვის ანხორციელებენ მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოები სპეციალური ინსტრუქციით განსაზღვრული წესისამებრ.

ამ ინსტრუქციას გამოსცემს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველო საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან და ბეჭდვითი საქმის კომიტეტთან ერთად.

8. ამა დადგენილებისა და მის განსავითარებლად გამოცემული წესებისა და ინსტრუქციების დარღვევისათვის დაწესებულია პასუხისმგებლობა საადმინისტრაციო წესით—ჯარიმა ას მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე, რაც დაიდება ადმინისტრაციულ გადასახდელთა დებულების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207, შემდეგი ცვლილებებით).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. იანვრის 10.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

49. დადგენილება ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარეწაო კოოპერაციის სისტემის რეორგანიზაციისა და სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის მუშაობის გარდაქმნის თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარეწაო კოპერაციის სისტემის რეორგანიზაციისა და სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის მუშაობის გარდაქმნის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის აგვისტოს 23-ის დადგენილების (კან. კრ. 1932 წ. 21 №-ი, მუხ. 192) I კარის მე-6 მუხლს დაემატოს მე-2 ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში რესპუბლიკანური და საოლქო მრავალრეწაობიანი კავშირებიდან გამოიყოს სატყეო და სატყეო-ქიმიური რეწაობის სპეციალური სექტორები, და რესპუბლიკანური და საოლქო მრავალრეწაობიანი კავშირები სატყეო და სატყეო-ქიმიური რეწაობის ხაზით დაექვემდებარონ საქართველოს სატყეო-სარეწაო კავშირის ხელმძღვანელობას და დაგეგმვას“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. იანვრის 21.

ტფილისი.

მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

50. დადგენილება ს.კ.ს.

სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებში ახალ შენობათა დადგმისათვის და არსებულ შენობათა და ნაგებობათა რეკონსტრუქციის და გაფართოებისათვის საწარმოებელი ყველა სამშენებლო სამუშაოს სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ.

„სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებში ახალ შენობათა დადგმისათვის და არსებულ შენობათა და ნაგებობათა რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის საწარმოებელი ყველა საამშენებლო სამუშაოს სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წ. სექტემბრის 20-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 69 №-ი, მუხ. 417), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, კერძო იურიდიული პირი და ცალკეული მოქალაქე მოვალეა დაარეგისტროს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოში მისი ახალი შენობისა და ნაგებობის დადგმისათვის და არსებული შენობისა და ნაგებობის რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის წარმოებული სამშენებლო სამუშაო.

2. სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია და კერძო იურიდიული პირი არეგისტრებს სამშენებლო სამუშაოს, რაც საწარმოებელია როგორც ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, ისე სოფლად, ხოლო ცალკეული მოქალაქე—მარტოოდენ ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას საწარმოებელ სამშენებლო სამუშაოს.

3. დარეგისტრებულ უნდა იქნეს როგორც სამეურნეო წესით, ისე საანარდოდ გაცემის წესით წარმოებული სამშენებლო სამუშაო.

4. რეგისტრაცია იმაში მდგომარეობს, რომ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოს, სათანადო სამშენებლო სამუშაოს წარმოების ადგილის მიხედვით, წარედგინება შესაბამისი ცნობები დადგენილი ფორმით. დარეგისტრებულ უნდა იქნეს: ა) მშენებლობის დაწყება; ბ) მშენებლობის დამთავრება; გ) ხანგრძლივი შეჩერება (კონსერვაცია); დ) მუშაობის განახლება (დეკონსერვაცია); ე) წლის ბოლოსათვის დაუმთავრებელი ობიექტის მდგომარეობა; ვ) მეაღნაგის გამოცვლა და ზ) ობიექტის მოშლა.

5. რეგისტრაცია სწარმოებს იმ წესით, იმ ვადაზე და იმ ფორმით, რასაც დააწესებს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველო.

6. წინადადება მიეცეს ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, საქალაქო საბჭოს და სასოფლო საბჭოს—უზრუნველყოს ამა დადგენილების განხორციელება.

7. მიენდოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამ რესპუბლიკებსა და ოლქში ანალოგიური ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. იანვრის 10.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

51. დადგენილება ს.კ.ს.

1933 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოსალოდნელი წყალდიდობის გამო, რაც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან საგანგებო კომისია წყალდიდობასთან ბრძოლისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრისა, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსისა, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსისა და ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციის წარმომადგენლების შედგენილობით; გადაეცეს ამ კომისიას საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან წყალდიდობისა და მისი შედეგების წინააღმდეგ ბრძოლისათვის არსებული კომიტეტის ყველა ფუნქცია, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 10-ის დადგენილებაში „წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ "(საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 24 №-ი, მუხ. 340), და დაეკისროს ამავე კომისიას უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა ყველა იმ ღონისძიების განხორციელების საქმისათვის, რაც უზრუნველჰყოფს მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოსალოდნელი წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის მომზადებას და ჩატარებას, კერძოდ—უზრუნველყოს წყლის ნაპირების გამმაგრებელი სამუშაოების თავის დროზე შესრულება არსებულ და ახლად მოსაწყობ ნაპირების გამმაგრებელ ნაგებობათა დაცვა.

2. წინადადება მიეცეს იმ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე იმ საქალაქო და სასოფლო საბჭოებს, რომელთა ტერიტორიაზედაც მოსალოდნელია მიმდინარე წლის გაზაფხულზე წყალდიდობა, დაუყოვნებლივ მოაწყონ საგანგებო კომისიები წყალდიდობასთან ბრძოლისათვის—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების თავმჯდომარეობით, კუთვნილებისამებრ, და წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოებისა და ადგილობრივი საგზაო ორგანოების წარმომადგენელთა შედგენილობით.

ზემოაღნიშნულმა ადგილობრივმა საგანგებო კომისიებმა: ა) დაუყოვნებლივ უნდა დაამყარონ კავშირი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საგანგებო კომისიასთან: სარაიონო კომისიებმა—უშუალოდ, ხოლო სასოფლო და საქალაქო კომისიებმა (გარდა იმ კომისიებისა, რომელნიც არსე-

ბობენ დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებთან)—სათანადო სარაიონო საგანგებო კომისიების მეშვეობით, და ბ) უნდა იმოქმედონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგანგებო კომისიის დირექტივებისა და მინიშნებების მიხედვით.

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—იხმარონ ღონისძიებანი წყალდიდობასთან ბრძოლის ადგილობრივი კომისიების უზრუნველყოფისათვის საჭირო საშენი მასალით (წნელი, ფიჩხი და სხვა ხე-ტყის მასალა, რაც საჭიროა წყალდიდობასთან საბრძოლველად შესაფერ ნაგებობათა მოწყობისათვის.)

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საშენი მასალის განმანაწილებელ კომისიას—უზრუნველყოს წყალდიდობასთან საბრძოლველად საჭირო სამუშაოები საშენი მასალით ცენტრალიზებული ფონდებიდან.

4. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—შეიტანონ ხელმე წყალდიდობასთან ბრძოლის ცენტრალური და ადგილობრივი საგანგებო კომისიების მოთხოვნით, მოსახლეობისათვის შრომისა და ჭაპანზიდვის ბეგარა იმ წესისამებრ, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 13-ის დადგენილებით „სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის შრომის ბეგარის შემოღების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-16 № ი, მუხ. 127).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. იანვრის 13.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 16 №-ში 1933 წ. იანვრის 18.

---

52. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

თესვის საქმეთა კომიტეტის მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის უშუალო ოპერატიული ხელმძღვანელობის გასაწევად, ამ კამპანიასთან დაკავშირებული ყველა მიმდინარე საკითხის გადასაწყვეტად და იმ საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად, რაც უზრუნველჰყოფს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით და თავის დროზე ჩატარებას, მოწყობილ იქნეს თესვის საქმეთა კომიტეტი ამხ. გ. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით და ამხანაგ ლ. ბერიას, შ. მათიკაშვილის, ტ. ლორთქიფანიძის და ვ. ბაქრაძის შედგენილობით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **პ. ალნიაშვილი.**

1933 წ. იანვრის 26.
ტფილისი.

---

53. დადგენილება ს.კ.ს.

1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ

მიმდინარე წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანია ჩატარებულ უნდა იქნეს ყველა საბჭოთა ორგანოს (კერძოდ—სამიწათმოქმედო განყოფილებებისა,საბჭოთა მეურნეობებისა,კოლმეურნეობებისა,სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა) მიერ განსაკუთრებული ყურადღების მიქცევით იმისათვის, რომ„ დადგა დრო, როდესაც ნათესი ფართობის გადიდებით მეურნეობის სივრცის ზრდისაგან საჭიროა პირის მიბრუნება ბრძოლისაკენ მიწის საუკეთესოდ დამუშავებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის, როგორც მთავარი და ცენტრალური ამოცანისათვის სოფლის მეურნეობის სფეროში განვითარების დღევანდელ ეტაპზე“.

ყველა საბჭოთა ორგანიზაციას უნდა ახსოვდეს, რომ მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვის კამპანია ჩაივლის გამძვინებული წინააღმდეგობის პირობებში კულაკებისა, მათი დამქაშებისა, მენშევიკებისა, ყოფილი აზნაურებისა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების მხრით, რომელთაც მოიკალათეს სოფლად და რომელნიც შეძვრენ კოლექტიურ მეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და სხვა სასოფლო ორგანოებში, ცდილობენ გახრწნან კოლექტიური მეურნეობანი და მოაწყონ კულაკური საბოტაჟი, რაც გამოიხატება სათესლე ფონდების დაგროვების გეგმის ჩაშლასა, საგაზაფხულოდ სპეციალური საკვები ფონდების შექმნისათვის წინააღმდეგობის გაწევასა, მიწის ცუდად მოხვნასა და დათესვასა და კულტურების ცუდად დამუშავებაში; ამით ისინი ისწრაფიან ჩაშალონ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი, რაც მიმართულია მოსავლიანობის გადიდებისათვის; ცდილობენ მოაწყონ კოლექტიურ მეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე პირდაპირი მავნებლობა, აფუჭებენ და ამტვრევენ მანქანებს, ჰშლიან სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტს, ჰღუპავენ მუშა-საქონელს, იტაცებენ და ანიავებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ქონებას.

ყველა საბჭოთა ორგანოს საპირველრიგო ამოცანას მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს შეადგენს მოახდინოს საკოლმეურნეო აქტივისა და მთლად კოლმეურნეთა და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნე-გლეხთა ნამდვილი მობილიზაცია სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადებისა და ჩატარებისათვის უაღრესი მნიშვნელობის მქონე საკითხების გარშემო ფართოდ გაშლილი საორგანიზაციო მასური ახსნა-განმარტებითი მუშაობისა და კულაკური საბოტაჟის ბოლომდე განადგურების საფუძველზე.

საჭიროა ეხლავე, საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადების პერიოდში, გამხილებულ იქნეს კლასობრივი მტრის ყველა მანევრი, დაძლეულ იქნეს მისი წინააღმდეგობა რეპრესიის მკაცრი ღონისძიებებით; ამავე დროს გამომჟღავნებულ და გაძევებულ უნდა იქნენ კოლექტიური მეურნეობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან ტ სამიწათმოქმედო და სხვა ორგანოებიდან კულაკების ხელისშემწყობი და გადაგვარებული ელემენტები.

მიაქცევს რა ყველა საბჭოთა ორგანიზაციის ყურადღებას 1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ზემოაღნიშნულ ძირითად ამოცანებს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საგაზაფხულო თესვის გეგმა 1933 წლისთვის განისაზღვროს 651 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურები	სულ ნათესების ფართობი ათასი ჰექტარობით	აქედან საკვები მეურნეობ. ათასი ჰექტარობით
1. ხორბალი	50,0	0,1
2. ქერი	75,9	5,9
3. სიმინდი	386,6	3,7
4. ფეტვი	6,5	0,6
5. შვრია	2,8	1,4
6. ასლი	5,8	—
სულ მარცვლოვანი	527,6	11,7
7. თამბაქო	18,0	—
8. ბამბა	18,0	1,5
9. კანაფი	0,4	0,4
10. არახისი	1,5	0,2
11. მზეუჰვრიტა	5,5	0,5
12. სელი	2,0	—
13. შაქრის ჭარხალი	4,1	0,6
სულ ტექნიკური მცენ.	49,5	3,2
14. კარტოფილი	17,3	0,5
15. ბოსტანი, ზამთრის ბოსტნის ფართობთა გამოკლ.	17,8	2,9
16. ბალჩები	2,5	0,2
სულ ბოსტნეული	37,6	3,6
17. საკვები ბალახი	25,1	4,3
18. ფესვნაყოფა	1,5	0,6
19. სასილოსო ნათესი	2,7	1,1
სულ საკვები მცენარე	29,3	6,0
20. წასული წლების ბალახი	7,9	2,5
სულ ნათესი	651,9	27,0
სოია რიგებს შუა	26,0	
ლობიო რიგებს შუა	26,0	

საქართველოს სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. განისაზღვროს მრავალწლიან ნარგავთა გაშენებისა და რემონტის შემდეგი გეგმა:

კულტურები:	1933 წლისთვის		1-ლ ნახევარწელს		აღსადგ. 1-ლ ნახევარწელს		რემონტი 1-ლ ნახევარწელს	
	ს ვ ლ	აქედან საბჭოთა მეურნეობებში	ს ვ ლ	აქედან საბჭოთა მეურნეობებში	ს ვ ლ	აქედან საბჭოთა მეურნეობებში	ს ვ ლ	აქედან საბჭოთა მეურნეობებში
1. ჩ ა ი:								
ა) ნიადაგის მომზადება	1850	350	1130	250	—	—	—	—
ბ) თესვა	1850	350	880	180	2232	188	2280	638
2. რამი	600	300	600	300	—	—	—	—
3. ვენახები	1500	450	1500	450	—	—	78	78
4. ხეხილის ბაღები . .	975	538	590	153	—	—	477	257
5. ციტრუსები	479	329	479	329	—	—	60	60
6. დანარჩენი სუბტროპ. მეხილეობა	138	58	56	8	—	—	—	—
7. თხილი	115	—	115	—	—	—	—	—
8. კეთილშობ. დაფნა .	75	—	75	—	—	—	25	—
9. ამერიკ. ვაზის სადედე.	600	500	600	500	—	—	—	—
10. ხეხილის სანერგეები საძირეთა კულტურ.	103	83	93	73	—	—	—	—
11. სუბტროპ. ხეხილის სანერგეები	13.5	12	5,5	4	—	—	—	—
12. ციტრუსების სანერგეები	119,5	114	31,5	26	—	—	—	—
13. რამის სანერგეები .	70	70	70	70	—	—	—	—
14. ბუჩქოვანი პლანტაციების დარგვა . .	50	50	50	50	—	—	780	60
15. თუთის ხის სანერგეები	110	110	110	110	—	—	—	—

შენიშვნა. ბუჩქოვანი პლანტაციების გაშენების გარდა 1933 წლის შემოდგომაზე დარიგებულ იქნეს თუთის ხის მაღალტანიანი ნერგები 390.000 ცალის რაოდენობით.

3. მიენდოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—შეამოწმოს იანვრის თვის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, გაზაფხულის კულტურათა თესლის არსებობა იმ რაოდენობით, რაც სავსებით უზრუნველჰყოფს გაზაფხულის თესლის დაზუსტებულ დავალებათა შესრულებას, და აგრეთვე თესლის ხარისხი და მისი შენახვის პირობები.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა ჩაატარონ გაზაფხულის კულტურათა სათესლე მასალის გამოყოფისა და დაბრონირებისათვის საჭირო მასური ახსნა-განმარტებითი მუშაობა როგორც კოლმეურნეობებში, ისე ინდივიდუალურ მშრომელი გლეხების მეურნეობებში, და მხედველობაში მიიღონ, რომ გაზაფხულის კულტურათა თესლი არ იქნება შეტანილი რაიონებში, გარდა გაზაფხულის ბალახეულობათა თესლის მცირეოდენი ნაწილისა.

4. განხორციელებულ იქნეს შემდეგი ძირითადი ღონისძიებანი მოსავლიანობის გასადიდებლად:

ა) მინერალური სასუქის შეტანა 19.700 ჰექტარის ფართობზე, აქედან:

ბამბის პლანტაციებზე	. . . . .	1.700 ჰექტ.
თამბაქოს „	. . . . .	8.800 „
ჭარხლის „	. . . . .	4.000 „
ჩაის „	. . . . .	5.267 „

ბ) ნაკელი სასუქის შეტანა 32.000 ჰექტარ ფართობზე;

გ) თავთავიანი კულტურების სათესლე მასალის 100%-იანი გაწმენდა და დაწამლვა;

დ) თავთავიანი კულტურების მწკრივად თესვა 25.200 ჰექტ. ფართობზე და სიმინდისა—165.000 ჰექტარზე;

ე) სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მავნებლებთან და დაავადებასთან ბრძოლა იმ რაოდენობით, რაც მაქსიმალურად უზრუნველჰყოფს მოსავლიანობის შემცირების თავიდან აცდენას.

5. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—იანვარ-თებერვლის განმავლობაში დაამუშაოს და მოახსენოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ღონისძიებანი მოსავლიანობის გასადიდებლად ყოველი რაიონისათვის ყველა ძირითადი კულტურის ხაზით (მოხვნისა და თესვის ვადები, დამუშავება თესვის შემდეგ, მინერალური და ორგანიული სასუქის შეტანა, დამერგელება და დაკირიანება, მანქანა-იარაღების შერჩევა, მორწყვის ტექნიკა, ნორმები და ვადები და სხვ.); ამასთანავე სპეციალურად დაამუშაოს 1933 წლის განმავლობაში თესლთა-ბრუნვის შემოღების გეგმა და წესი ყველა საბჭოთა მეურნეობაში და კოლექტიურ მეურნეობაში—კლიმატურ პირობებთან, მიწის ხარისხთან, ნიადაგის მდგომარეობასთან, ცალკეული კულტურების შრომატევადობასთან და მოსახლეობის ჩვეულებებთან შეფარდებით; თანაც მხედველობაში მიიღოს, რომ თესლთა-ბრუნვის შემოღების ცენტრალურ ამოცანას ყოველ ცალკე

შემთხვევაში წარმოადგენს ამა თუ იმ რაიონისათვის უმთავრესი კულტურების მოსავლიანობის გადიდება და სარეველასთან ბრძოლა.

6. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა იანვრის თვის განმავლობაში უნდა შეამოწმოს და უზრუნველყოს გაზაფხულისათვის საირიგაციო სისტემათა მომზადება.

7. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებმა და საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებმა უნდა უზრუნველყონ სამანქანო-სატრაქტორო პარკის რემონტის გეგმის შესრულება დაწესებულ ვადებზე და აგრეთვე მთელი დანარჩენი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის ორგანიზაცია კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობებში.

მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ანალოგიური ღონისძიებანი.

8. სათბობი მასალის კომიტეტმა (საქ. სსრ სახ. კ-თა საბჭოსთან) უნდა უზრუნველყოს საწვავი და საცხები მასალებით სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დაუცადებელი მომარაგება; თანაც მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწვავი და საცხები მასალის ერთთვიური მარაგის დაგროვების აუცილებლობა.

დამტკიცებულ იქნეს ნავთის საცავების მშენებლობის გეგმა საწვავი მასალის ერთთვიური ხელუხლებელი მარაგის შესანახად სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1.746 კუბ. მეტრის საერთო კუბატურით; აქედან 1.449 კუბ. მეტრ. სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და 297 კუბ. მეტრ. საბჭოთა მეურნეობებში.

ტრაქტოროცენტრმა და საბჭოთა მეურნეობების შენაერთებმა უნდა მოახდინონ ნავთის ტარის მობილიზაცია საწვავი მასალის ხელუხლებელი მარაგის დაგროვების უზრუნველსაყოფად ნავთის საცავების მშენებლობის დამთავრებამდე.

წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწვავი და საცხები მასალის ხელუხლებელი მარაგის ხარჯვის სპეციალური წესები.

9. საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ ყოველ საბჭოთა მეურნეობაში და კოლექტიურ მეურნეობაში საკვების ხარჯვის გეგმის შედგენა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მუშა-საქონლის ნორმალურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვებას ზამთარში და გაძლიერებულ კვებას მაგარი და აგრეთვე კონცენტრირებული საკვებით—გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმოებისა რიოდში.

ამასთან ერთად ჩატარებულ იქნეს სათანადო ფართო მასური ახსნა-განმარტებითი მუშაობა ინდივიდუალურ მეურნე-გლეხებს შორის.

მობილიზებულ უნდა იქნეს რაიონებში ყველა რესურსი მუშა-საქონლისათვის ნალებისა და ნალის ლურსმნების დასამზადებლად, და მათი წარმოება მოეწყოს ადგილობრივად.

10. დაწესდეს საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში საქონლის რაოდენობის ხაზით შემდეგი დავალებანი (ათასი სულობით):

	1933 წლის იანვრის 1-თვის	1934 წლის იანვრის 1-თვის	აქედან წლის განმავლობაში ნაყიდი საქონელი
მერძეობის სასაქონლო ფერმა:			
საერთო რაოდენობა	25,9	31,2	3,0
აქედან ძროხა	11,3	13,4	—
მეღორეობის სასაქონლო ფერმა:			
საერთო რაოდენობა	11,4	22,3	0,17
აქედან დედა-ღორი	3,9	7,3	—
მეცხვარეობის სასაქონლო ფერმა:			
საერთო რაოდენობა	101,7	113,5	—
აქედან დედა-ცხვარი	64,0	66,5	—
მეცხენეობის სასაქონლო ფერმა:			
საერთო რაოდენობა	0,88	1,09	0,08
აქედან ფაშატი	0,47	0,55	—
მეფრინველეობის სასაქონლო ფერმა:			
რაოდენობა	2,8	12,6	—
შინაური მეკურდღლეობის სასაქონლო ფერმა:			
საერთო რაოდენობა	0,45	1,0	—
სასაქონლო საფუტკრე:			
სკების რაოდენობა	6,3	9,5	—

11. 1933 წლისთვის საკვების დასილოსების გეგმა განისაზღვროს 27.000 ტონის რაოდენობით.

12. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—წარუდგინოს ერთი დეკადის ვადაზე სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად

კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთა პროდუქტული მეცხოველეობის ზოოვეტმომსახურეობის ორგანიზაციისა და მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებში მშენებლობისათვის საჭირო ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა.

13. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დაუგზავნოს ერთი დეკადის ვადაზე საბჭოთა მეურნეობების სარაიონო შენაერთებს, მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების შენაერთსა და ტრაქტორცენტრს ადგილობრივი საშენი მასალის დამზადების გეგმა სათანადო ვადების აღნიშვნით.

14. მიენდოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გაითვალისწინონ ადგილობრივი ბიუჯეტით სახსარი მასური კვალიფიკაციის კადრების მოსამზადებლად 100.000 მანეთის რაოდენობით; ეს თანხა გაღებულ იქნეს მიმდანარე წლის 1-ლ კვარტალში.

15. წანადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—შეადგინოს და დაუგზავნოს ხუთი დღის ვადაზე რაიონებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს დ საბჭოთა მეურნეობებს მასური კვალიფიკაციის კადრების მომზადების გეგმა როგორც სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებისა და ტრაქტორცენტრის ხაზით, ისე მაწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემის სხვა სამეურნეო ორგანიზაციების ხაზით.

16. დამტკიცებულ იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი 1933 წლის საწარმოო დავალებანი და ღონისძიებათა გეგმა რაიონებისა და საბჭოთა მეურნეობების შენაერთების ხაზით.

კატეგორიულად აეკრძალოს სარაიონო ორგანიზაციებსა და საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს დამტკიცებულ გეგმაში რაიმე ცვლილების შეტანა მათი შემცირების მხრით.

17. სარაიონო ორგანიზაციებმა და საბჭოთა მეურნეობების შენაერთებმა უნდა უზრუნველყონ გეგმიან დავალებათა მიწვდენა საბჭოთა, კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობებამდე არა უგვიანეს 1933 წლის იანვრის 25-ისა.

18. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, მათი თავმჯდომარეების პერსონალური პასუხისმგებლობით, უზრუნველყონ საგაზაფხულო ნათესების თაობაზე მტკიცე განაკვეთების მიცემა ყველა კულაკურ-შეძლებული მეურნეობისათვის არა უგვიანეს იანვრის 25-ისა.

განსაკუთრებით მიეთითოს ყველა საბჭოთა ორგანიზაციას, რომ საჭიროა თავიდანვე მოეწყოს სასტიკი კონტროლი და მეთვალყურეობა თვითეული კულაკურ-შეძლებული მეურნეობის მიმართ—მათ მიერ მტკიცე დავალებათა შესრულების სფეროში როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით; თანაც თავის დროზე უნდა შეეფარდოს სასტიკი რეპრესიების ღონისძიებანი იმათ, ვინც ამ დავალებათ არ შეასრულებს.

19. საბჭოთა მეურნეობების შენაერთებმა უნდა უზრუნველყონ საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის წარდგენა იანვრის განმავლობაში.

20. განსაზღვრულ იქნეს კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმების შედგენის შემდეგი წესი:

ა) იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ მომსახურეობას, საწარმოო გეგმები შეიდგინება სათანადო სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ხელმძღვანელობით;

ბ) იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები არ უწევენ მომსახურეობას, საწარმოო გეგმები შეიდგინება სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებების უშუალო ხელმძღვანელობით.

კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმების შედგენა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1933 წლის თებერვლის 25-ისა.

21. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს—დაამთავრონ კოლმეურნეობებში მუდმივი შედგენილობის საწარმოო ბრიგადების ორგანიზაცია და მთელი 1933 წლისთვის საგეგმო დავალებათა მიცემა—საწარმოო გეგმების შედგენასთან ერთად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. იანვრის 19.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 18 №-ში 1933 წ. იანვრის 21.

---

54. დადგენილება ს.კ.ს.

ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობებამდე საგაზაფხულო სამარცვლეულო კულტურების თესვის გეგმის მიწვდენის წესის შესახებ.

„1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 19-ის დადგენილების განსავითარებლად (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 4, მუხ. 53; „კომუნისტის“ 1933 წ. მე-18 №-ი), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სასოფლო საბჭოებს დააწესონ საგაზაფხულო სამარცვლეულო კულტურების (ხორბალი, ქერი, სიმინდი, შვრია, ფეტვი, ასლი და სხვ.) თესვის მტკიცე გეგმები თვითეული ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობისათვის.

ხელმძღვანელობის გაწევა ამ ღონისძიებისათვის და მეთვალყურეობა მისი განხორციელებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს.

2. მიენდოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს განსაზღვროს სამი დღის ვადაზე საგაზაფხულო სამარცვლეულო კულტურების თესვის მტკიცე გეგმა-განწესის ერთიანი ფორმა ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობებისათვის და მიაწოდოს ეს ფორმა რაიონებს.

სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა იხმარონ ღონისძიებანი ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობებისათვის აღნიშნული გეგმა-განწესების ჩასაბარებლად არა უგვიანეს 1933 წ. თებერვლის 10-ისა.

3. მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ ამა დადგენილებაში აღნიშნული ღონისძიების განხორციელება ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. იანვრის 26.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 22 №-ში 1933 წ. იანვრის 27.

---

55. დადგენილება ს.კ.ს.

ცხენთა რიცხვის გამრავლებისა და დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

ცხენთა რიცხვის გამრავლებისა და დაცვის ღონისძიებათა შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მაისის 27-ის დადგენილებისა (სსრკ-ის კან. კრ. 1932 წ. 40 №-ი, მუხ. 241) და იმავე საკითხის თაობაზე გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის ივლისის 11-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1932 წ. 22 №-ი, მუხ. 169) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

განსაზოგადოებულ სექტორში ცხენების შენახვისა და გამოყენების ორგანიზაცია.

დაწესებულ იქნეს საბჭოთა ორგანოებში და კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციებში ცხენთა შენახვის და გამოყენების ორგანიზაციის შემდეგი საფუძვლები:

ა. ცხენთა შენახვის ორგანიზაცია.

1. დაეკისროს პერსონალური პასუხისმგებლობა ცხენების საერთო მდგომარეობისათვის: კოლმეურნეობებში—გამგეობის ერთ-ერთ წევრს, საბჭოთა მეურ-

ნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში—დირექტორის მოადგილეს, ხოლო დაწესებულებასა და საწარმოში—იმ პირს, რომელიც დაწესებულებაში თუ საწარმოში საადმინისტრაციო-სამეურნეო ნაწილს განაგებს.

2. ცხენების მოსავლელად გამოიყოს სპეციალური ბრიგადები საჯინიბოს უფროსის და მეჯინიბე-დამლაგებლების შედგენილობით.

3. თვითეულ მეჯინიბეს მუდმივი მომსახურეობისათვის მიემაგროს ცხენთა განსაზღვრული ჯგუფი.

4. დატვირთვის ნორმები ცხენების მოვლისათვის დაწესდეს ადგილობრივი პირობების მიხედვით, თანაც სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნეს შემდეგი საშუალო ნორმები: ა) ერთ მეჯინიბეზე, როდესაც ცხენები საჯინიბოში ინახება—8-10 ცხენი, ბ) ერთ მეჯინიბეზე საჯინიბოში, ცხენების საძოვრად გარეკვის პერიოდში—20-მდე ცხენი, გ) ერთ მეჯოგეზე, როდესაც ცხენები ჯოგშია—50-მდე ცხენი.

5. გათვალისწინებულ იქნეს შინაგანრიგების წესებში მომუშავეთა კონკრეტული მოვალეობანი როგორც ცხენების დაცვის (მეჯინიბე, საჯინიბოს უფროსი, სამეურნეო ნაწილის უფროსი და სხვ.), ისე მათი გამოყენების ხაზით (მესაზიდავე, მეეტლე, გუთნისდედა და სხვ.).

6. მუშაობა ცხენების მოვლის ხაზით მოწყობილ იქნეს სანარდო სისტემისა და სოცშეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გამოყენების საფუძველზე.

ცხენით მომუშავე პირთა და მეჯინიბე-დამლაგებელთა შრომის სასყიდლის სანარდო-საპრემიო სისტემის გატარების დროს შემოღებულ იქნეს წესად, რომ შრომის სასყიდლის მიცემა დამოკიდებულია არა მარტო მუშაობის ნორმების შესრულებაზე, არამედ აგრეთვე ცხენების ჯანსაღობასა და სიმსუქნეზე.

ბ. ცხენების სამუშაოდ გამოყენების წესი.

7. დაევალოს ყველა ორგანიზაციას, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში ცხენს იყენებს, უკეთუ მეურნეობაში არის ტრაქტორები, გაჰყოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, მათი ხასიათის მიხედვით, სატრაქტორო და საცხენო სამუშაოებად; ფარცხვა, მწკრივად თესვა და რიგებშუასათესი კულტურების დამუშავება, როგორც წესი, უნდა სწარმოებდეს ცხენის საწევი ძალით.

8. რათა ცხენები სათანადოდ განაწილდეს სპეციალური ბრიგადების მიხედვით, მუშა-ცხენები უნდა გაიყოს ჯგუფებად, მათი თვისებისა და ამა თუ იმ სახის სამუშაოებისათვის გამოსადეგობის შესაბამისად; ამასთანავე განაწილება უმთავრესად უნდა მოხდეს შემდეგი ჯგუფების მიხედვით: დიდი, საშუალო და პატარა ტანის ცხენები.

9. დაწესებულ იქნეს ცხენების მუშაობის მტკიცე განწესრიგება, რაც უზრუნველჰყოფს ნორმალურ ყოველდღიურ დასვენებას და მუშაობისაგან პერიოდულ განთავისუფლებას შრომის უნარის აღსადგენად.

აეკრძალოს ყველას, გარდა ბრიგადირისა, კოლმეურნეობაში ბრიგადაზე მიმაგრებული ცხენის განკარგვა.

10. აიკრძალოს მძიმე სამუშაოზე გამოყენება 3 წლისაზე ნაკლები ასაკის ცხენისა, მაკე ცხენისა ერთი თვის წინ მოგებამდე და აგრეთვე ჯიშიანი ცხენისა.

11. აეკრძალოს კოლმეურნეობის გამგეობას კოლმეურნეობის ცხენის მიცემა უსასყიდლო სარგებლობისათვის, რა საჭიროებაც უნდა იყოს და ვინც მოითხოვოს; სხვათა შორის ცხენი ასეთი სარგებლობისათვის არ მიეცემა აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, უმაღლესი ორგანოების რწმუნებულებს, დამმზადებლებს და სხვ.

12. ცხენების გამოყენება შრომითი ჭაპანზიდვის ბეგარისათვის შეიძლება მხოლოდ იმ წესის დაცვით, რაც განსაზღვრულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით შრომის ჭაპანზიდვის ბეგარის ჩატარების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 5 №-ი, მუხ. 75).

გ. წესებისა და ინსტრუქციების გამოცემა და ცხენების შენახვისა და გამოყენების საქმის ზედამხედველობის განხორციელება.

13. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გამოსცეს:

ა) ცხენების შენახვისა და გამოყენების დაწვრილებითი წესები;

ბ) საშუალო ცხენის მუშაობის ნორმები ძირითადი სახის სამუშაოებისათვის საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა, საწარმოებსა და დაწესებულებებში (რაიონებით);

გ) დებულება და ინსტრუქციები საგრილობელი კამპანიის ჩატარებისათვის.

14. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სამიწათმოქმედო განყოფილებებს სისტემატური მეთვალყურეობა და მუდმივი კონტროლი გაუწიონ ცხენების სათანადოდ შენახვისა და ექსპლოატაციის საქმეს, რისთვისაც უფლება მიეცეს მათ გამოიკვლიონ ამ საქმის დაყენება იმ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომელნიც ცხენს იყენებენ, და აგრეთვე ცალკეულ შემთხვევებში მოსთხოვონ ამ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს სათანადო ცნობები.

II.

მარცვლეული ფურაჟის ნორმები, რაც აუცილებლად დატოვებულ უნდა იქნეს მეურნეობაში პურის დამზადების დროს.

15. დაწესებულ იქნეს მარცვლეული ფურაჟის შემდეგი მინიმალური ნორმები, რაც საჭიროა ცხენის შრომის უნარის შენარჩუნებისათვის, და რაც აუცილებლად უნდა დაეტოვოს მეურნეობას, პურის დამზადების ჩატარების დროს რაიონებში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ცხენისათვის წელიწადში ცენტნერობით:

ა. ტფილისის
მცხეთის
კასპის
გორის
გარე-კახეთის
თელავის
ლუქსენბურგის
ყარაიას
ბორჩალოს
ყვარლის
გურჯაანის
სიღნაღის
ლაგოდეხის
ხორაგოულის
ზესტაფონის
ჭიათურის
ქუთაისის
ტყიბულის
ჩხარის
სამტრედიის
ვანის
ბაღდადის
აბაშის
სენაკის
მარტვილის
ხობის
ზუგდიდის
წალენჯიხის
ჩხორწყუს
ლანჩხუთის
ოზურგეთის
ჩოხატაურის
ფოთის

ცხენის კატეგორია \ მეურნეობა		საბჭოთა მეურნეობა	კოლმეურ-ნეობა	ინდივიდ. მეურნეობა	საქალაქო მეურნეობა
მოზრდ.	მუშა-ცხენი	12,8	11,1	7,2	18,2
	დანარჩენი	8,6	4, 9	3,0	14,5
	მოზარდი	5,8	3,1	1,5	10,9

ბ. ბორჯომის
დუშეთის
ხევის
ერწო-თიანეთის
ალბულახ-მანგლისის
წალკის
ბაშკიჩეთის
ახალციხის
ადიგენის
ახალქალაქის
ტოლოშის
გორელოვკის
ცაგერის
ქვემო-სვანეთის
ზემო-სვანეთის

ცხენის კატეგორია \ მეურნეობა		საბჭოთა მეურნეობა	კოლმეურ-ნეობა	ინდივიდ. მეურნეობა	საქალაქო მეურნეობა
მოზრდ.	მუშა-ცხენი	17,4	12,4	8,8	18,2
	დანარჩენი	10,8	7,8	5,3	14,5
	მოზარდი	7,3	5,1	2,6	10,9

16. მარცვლეული ფურაჟის მინიმალურ ნორმებს რაიონების მიხედვით, რაც აუცილებლად დატოვებულ უნდა იქნეს მეურნეობაში ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში პურის დამზადების დროს, აწესებენ ამ რესპუბლიკების და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, რომელნიც საშუალო ნორმებად იხელმძღვანელებენ: აფხაზეთის ავტ. სსრ-ის და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები—15 მუხლის „ა“ ლიტერაში აღნიშნულ ნორმებს, ხოლო სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი—15 მუხლის „ბ“ ლიტერაში აღნიშნულ ნორმებს.

III.

17. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ აღნიშნული რესპუბლიკების და ოლქის ტერიტორიაზე სათანადო ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს.კ.-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. იანვრის 10.
ტფილისი.

ვაჭრობა. მომარაგება

56. დადგენილება ს.კ.ს.

თამბაქოს გადაყიდვისა და უკანონოდ გაყიდვასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განმარტებულ იქნეს, რომ შრომითი მეთამბაქოობის მეურნეობების თავისუფალ განკარგულებაში დატოვებული თამბაქოს (მოსავლის 5%) გაყიდვა შეიძლება მხოლოდ თამბაქოს დამზადების მთელი რესპუბლიკანური გეგმის შესრულების შემდეგ.

შრომითი მეთამბაქოობის მეურნეობანი, რომელთაც შეასრულეს კონტრაქტაციის ხელშეკრულებით ნაკისრები ვალდებულებანი, მიიშვებიან მათ თავისუფალ განკარგულებაში დატოვებული პროდუქციის ნაწილის რეალიზაციისათვის, უკეთუ მათ ექნებათ ამ გარემოებათა დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც გაიცემა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) ინსტრუქციით გათვალისწინებული წესისამებრ.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ პროკურორს, საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს, საქართველოს მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს და საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს

იხმარონ, კუთვნილებისამებრ, გადამწყვეტი ღონისძიებანი ყველა იმ პირის გამოსააშკარავებლად, ვინც თამბაქოს უკანონო ყიდვა-გაყიდვას ეწეოდა (1-ლი მუხ.), და აგრეთვე სპეკულანტ-გადამყიდველებისა და მისცემ-ისინი პასუხისგებაში:

ა) სპეკულანტ-გადამყიდველნი და აგრეთვე ის პირნი, რომელნიც ეკუთვნიან კულაკურ და შეძლებულ მეთამბაქოობის მეურნეობათა შედგენილობას,—საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 42 მუხლის თანახმად (სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 28-ის დადგენილების რედაქციით—სსრ კან. კრ. 1932 წ. № 24, მუხ. 255; „კომუნისტის“ 1933 წ. მე-3 №-ი);

ბ) ის პირნი, რომელნიც ეკუთვნიან შრომითს საგლეხო მეურნეობათა შედგენილობას, და კოლმეურნენი—საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 108 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-3 №-ი, მუხ. 27).

წინადადება მიეცეს აღნიშნულ ორგანოებს—დაამყარონ ამ კატეგორიის საქმეთა სასწრაფო და რიგსგარეშე გამოძიებისა და განხილვის წესი და გამოსცენ სამი დღის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

3. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე მეთამბაქოობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—იხმარონ ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს ამა დადგენილების განხორციელებას.

საქ. სსრ ს.კ-ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. იანვრის 5.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 7 №-ში 1933 წ. იანვრის 8.

---

57. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„სამინდე გამოსაღების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ არსებული 1932 წ. დეკემბრის 22-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 9-ის დადგენილების შესაბამისად, რომელი დადგენილებითაც შეცვლილია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. სექტემბრის 27 დადგენილება „სამინდე გამოსაღების შესახებ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 22-ის დადგენილებაში „სამინდე გამოსაღების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-2 №-ი, მუხ. 34) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. აღნიშნული დადგენილების 1-ლი მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„1. საფქვავ, საფქვავ-საბურღავ, ბრინჯ-საჩენჩ და ზეთ-სახდელ საწარმოში შესული სამინდე გამოსაღების უკანონო ხარჯვისათვის ამ საწარმოს პატრონი და მოიჯარე-კერძო პირი და აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოს თანამდებობის პირი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილების წესისამებრ „სახელმწიფო საწარმოთა, კოლექტიურ მეურნეობათა და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ „(სსრკ კან. კრ. 1932 წ. 62 №-ი, მუხ. 360)“.

2. ზემოაღნიშნულ დადგენილებას დაემატოს მე-3[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„3[1]. ზემოაღნიშნული პასუხისმგებლობის გარდა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელსაც ეკუთვნის ის საწარმო, სადაც მოხდა სამინდე გამოსაღების წესების დარღვევა, და აგრეთვე კერძო საწარმოს პატრონს და მოიჯარეს დაედება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) განკარგულებით, ჯარიმა ნატურალური ფორმით (მარცვლეულით) სამინდე გამოსაღების იმ ნაწილის რაოდენობით, რაც სახელმწიფოს დააკლდება“.

3. ზემოაღნიშნული დადგენილების მე-5 მუხლი გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ხ. თოდრია.**

1933 წ. იანვრის 28.
ტფილისი.

58. დადგენილება ს.კ.ს.

საბამბე მეურნეობების მიერ კონტრაქტაციის ხელშეკრულობების თანასწორად და მტკიცე დავალებების წესით ბამბის (ნედლი ბამბის და ბოჭკოს) მთლად ჩაბარების ღონისძიებათა შესახებ.

რადგანაც ზოგიერთი საბამბე მეურნეობა, იმისდამიუხედავად, რომ ბამბის დამმზადებელმა ორგანიზაციებმა ისინი დააკმაყოფილეს თესლით, ფულადი ავანსებით, პურით და სამრეწველო და სასურსათო საქონლით, მაინც არ ასრულებს მთლად კონტრაქტაციის ხელშეკრულობებით ნაკისრებ ვალდებულებათ სახელმწიფოს წინაშე შეპირობებული რაოდენობის ბამბის ჩაბარების თაობაზე, ხოლო კულაკური და შეძლებული მეურნეობანი არ ასრულებენ მათთვის მიცემულ მტკიცე დავალებებს ბამბის ჩაბარების შესახებ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ბორჩალოს, ყარაიას, ლუქსემბურგის, სიღნაღის, გურჯაანის და გარე-კახეთის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გამოუცხადონ დაუყოვნებლივ იმ საბამბე მეურნეობათ, რომელთაც არ შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი ბამბის ჩაბარებისა და პროდუქციის ნაწილი დაიტოვეს საოჯახო სარგებლობისათვის თუ კერძო ბაზარზე გასაყიდად, რომ სახელმწიფოსათვის დაწესებულ ფასად ბამბის ნებაყოფლობით ჩაბარების საბოლოო ვადა 1933 წ. იანვრის 20-ია.

საბამბე მეურნეობაში აღნიშნული ვადის შემდეგ აღმოჩენილი ბამბა (ნედლი ბამბა და ბოჭკო) ჩამორთმეულ უნდა იქნეს, ხოლო ბამბის ჩაუბარებლობაში დამნაშავე პირნი უნდა მიიცნენ პასუხისგებაში როგორც სახელმწიფო ქონების გატაცებისათვის.

2. წინადადება მიეცეს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—დაამყარონ, სასოფლო საბჭოებისა და მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოების მეშვეობით, სასტიკი კონტროლი „ბამბის გაყიდვასა და ადგილობრივ ჩაბარებასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ოქტომბრის 31 თარიღისა და 497 №-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 1932 წ. 258 №-ი) განხორციელებისათვის, რომელი დადგენილებითაც აკრძალულია: ა) ბამბის ჩამბარებლების მიერ ბამბის გაყიდვა და აგრეთვე რკინის გზით, წყალსავალი გზით, საეტლე გზით და ფოსტით ბამბის გამოზიდვა მზა-ნაკეთობის სახით (ლეიბები, საბნები, ბალიშები და სხვა მისთ.); ბ) ბამბის შესყიდვა და კერძო ჯინებზე გადამუშავება და გ) ბამბის მოკრეფის სასყიდლის ნატურად (ბამბით) გაღება.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ პროკურორს, საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს, საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს და საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს—იხმარონ, კუთვნილებისამებრ, ღონისძიებანი:

ა) იმ პირთა გამოაშკარავებისა და პასუხისგებაში მიცემისათვის, ვინც დამნაშავეა სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი ბამბის გადამალვაში (1-ლი მუხლი);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) იმ პირთა გამოაშკარავებისა და პასუხისგებაში მიცემისათვის—სათანადოდ—საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 103 მუხ. 1-ლი ნაწილის და 142 მუხლის (სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 28-ის დადგენილების რედაქციით—სსსრ კან. კრ. 1932 წ. № 24, მუხ. 255; „კომუნისტის“ 1933 წ. მე-3 №-ი) თანახმად, ვინც დამნაშავეა ამა დადგენილების მე-2 მუხ. აღნიშნული წესების დარღვევაში, და ბამბის სპეკულანტ-გადამყიდველებისა;

გ) ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებულ საქმეთა სასწრაფო დარიგსგარეშე გამოძიებისა და გადაწყვეტისათვის.

4. წინადადება მიეცეს „სოიუზზაგოტხლოპოკ“-ის საქართველოს კონტორასუზრუნველყოს სავსებით ბამბის ჩაბარების ვალდებულებათა პირნათლად შემსრულებელი შრომითი საბამბე მეურნეობების მომარაგება ბამბის ლინტერით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნორმების კვალობაზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. იანვრის 7.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 8 №-ში 1933 წ. იანვრის 9.

---

59. დადგენილება ს.კ.ს.

1933 წელს კარაქისა, რძისა და ყველის სახელმწიფოებრივი დამზადების მოწყობის და ჩატარების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი ინსტრუქცია 1933 წელს კარაქისა, რძისა და ყველის სახელმწიფოებრივი დამზადების მოწყობისა და ჩატარების წესის შესახებ.

2. 1933 წელს რძისა, კარაქისა და ყველის ძირითად დამმზადებლებად ცნობილ იქნენ: „საქკარაქმრეწვი“ და „საქრძეფრინველი“—საქართველოს სსრ-ში და „აფკავშირი“—აფხაზეთის ავტ. სსრ-ში.

3. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დარაიონება დამმზადებელი ორგანიზაციების ხაზით:

„საქკარაქმრეწვისათვის“—ბაშკიჩეთისა, წალკისა, ბოგდანოვკისა, ახალ-ქალაქისა, ტოლოშისა და ხევის რაიონები და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი;

„აფკავშირისათვის“—აფხაზეთის ავტ. სსრ;

„საქრძეფრინველისათვის“—საქართველოს სსრ ყველა სხვა რაიონი და აჭარისტანის ავტ. სსრ.

4. განისაზღვროს, რომ „საქკარაქმრეწვისათვის“ მიჩენილ რაიონებში იგი მუშაობს თავისი ქვედა ქსელის მეშვეობით, ხოლო იქ, სადაც ასეთი ქსელი არ არსებობს, დამზადებას აწარმოებს სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებების მეშვეობით, ხელშეკრულებების საფუძველზე.

5. მოუხდელი რძის მწარმოებელ რაიონებად (ე. ი. რაიონებად, რომელნიც ახალნაწველ რძეს აბარებენ) საქართველოს სსრ-ში ცნობილ იქნეს: ტფილისისა, გარე-კახეთისა, ბორჯომისა, ალბულახ-მანგლისისა, ყარაიასი, მცხეთისა, ქუთაისისა და ჭიათურის რაიონები და ქ. ტფილისი.

შენიშვნა. დანარჩენ რაიონებს, რომელნიც მოუხდელი რძის მწარმოებელნი არ არიან მთლიანად, ხოლო რომელთაც შეუძლიანთ ახალნაწველი რძის ჩაბარება დიდ სამრეწველო საწარმოთა მუშების მოსამარაგებლად, განსაზღვრავს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატი სარაიონო ორგანიზაციებისა ან დამმზადებელი ორგანიზაციების წარდგენით.

6. აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის ცენტრალურმა ალმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა გამოჰყონ 1933 წ. იანვრის 12-თვის მოუხდელი რძის მწარმოებელი რაიონები.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და ცეკავშირს—ერთი დღის ვადაზე მობილიზებულყოს და წარმართოს დამმზადების რაიონებში, ადგილობრივი ორგანიზაციების დასახმარად, თითო პასუხისმგებელი მიმაგრებული მომუშავე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. იანვრის 8.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 10 №-ში 1933 წ. იანვრის 11.

---

60. დადგენილება ს.კ.ს.

1933 წელს კარაქისა, რძისა და ყველის სახელმწიფოებრივი დამზადების მოწყობისა და ჩატარების წესის შეცვლის შესახებ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის 1933 წ. იანვრის 16-ის თარიღისა და 56/13 №.ის დადგენილების შესაბამისად და „1933 წელს კარაქისა, რძისა და

ყველის სახელმწიფოებრივი დამზადების მოწყობისა და ჩატარების წესის თანობაზე" გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 8-ის დადგენილების შესაცვლელად (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 4, მუხ. 59; „კომუნისტის" 1933 წ. მე-10 №-ი), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს 1933 წელს კარაქისა, რძისა და ყველის დამზადების შემდეგი დარაიონება დამმზადებელ ორგანიზაციებზე:

ა) „საქკარაქმრეწვი" აწარმოებს დამზადებას კარაქისა და ყველის დასამუშავებლად: ახალქალაქისა, ბაშკიჩეთისა, წალკისა, ბოგდანოვკისა, ტოლოშისა, ხევისა, დუშეთისა, ხულოს, ქედისა, ონისა, ამბროლაურისა და ერწო-თიანეთის რაიონებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში;

ბ) „ცეკავშირი" („საქრძეფრინველის" სადარგო შენაერთის მეშვეობით) აწარმოებს მოუხდელი რძის დამზადებას: ტფილისისა, გარე-კახეთისა, აღბულახ-მანგლისისა, ბორჯომისა, მცხეთისა, ყარაიას, ბორჩალოს, ბათომისა, ქობულეთისა, სოხუმისა, ქუთაისისა, ზესტაფონისა, ტყიბულისა, ჭიათურისა და ადიგენის რაიონებში.

2. „საქკარაქმრეწვი"-სათვის ახლად მიჩენილ რაიონებში ქარხნის კარაქისა და ყველის დამზადებათა გეგმის აღსრულების უზრუნველსაყოფად წინადადება მიეცეს „საქკარაქმრეწვს"—მოაწყოს 25 საშინამრეწველო კარაქის ქარხანა და 95 ჩამომსხმელი პუნქტი.

3. განსაზღვრულ იქნეს, რომ ვიდრე „საქკარაქმრეწვი" ქარხნებსა და ჩამომსხმელ პუნქტებს მოაწყობდეს, კარაქის პროდუქტების დამზადება „საქკარაქმრეწვისათვის" მიჩენილ რაიონებში სწარმოებს სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა მეშვეობით, და მთელი პროდუქცია ჰბარდება „საქკარაქმრეწვს".

სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა ხარჯებს აღნიშნულ დამზადებათა ხაზით იხდის „საქკარაქმრეწვი", „ცეკავშირსა" და „საქკარაქმრეწვს" შორის, საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული კალკულაციის თანახმად, დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. იანვრის 26.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 23 №-ში 1933 წ. იანვრის 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლება

61. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწყობის შესახებ.

იმ ღონისძიებათა განხორციელებისა და განვითარების მიზნით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წ. სექტემბრის 19-ის დადგენილებაში „უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სასწავლო პროგრამებისა და რეჟიმის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 98 №-ი, მუხ. 409), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოწყობილ იქნეს ქ. ტფილისში საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტისა, საბჭოთა მშენებლობის და სამართლის ინსტიტუტისა და ნაწილობრივ პედაგოგიკური ინსტიტუტის ბაზისზე სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი და მეორე კურსის შედგენილობით და სწავლის ხანგრძლივობით 4-5 წლამდე.

2. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწყობილ იქნეს შემდეგი ფაკულტეტები:

ა) **ფიზიკო-მათემატიკური** ფაკულტეტი—მათემატიკური, ფიზიკური, და ასტრონომიული განყოფილებებით;

ბ) **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა** ფაკულტეტი—ქიმიური, ბიოლოგიური (ბიოლოგიური და ზოოლოგიური სექციები), გეოლოგიური და გეოგრაფიული (ფიზიკური გეოგრაფიისა და ეკონომიური გეოგრაფიის სექციები) განყოფილებებით;

გ) **ისტორიულ-ლიტერატურული** ფაკულტეტი—ისტორიული (ისტორიისა და ფილოსოფიის სექციები), ენისა და ლიტერატურის (ქართული ენის და ლიტერატურისა, რუსული ენის და ლიტერატურისა და უცხო ენების და ლიტერატურის სექციები) განყოფილებებით;

დ) **ეკონომიური** ფაკულტეტი—პოლიტიკური ეკონომიისა, საგეგმო (საგეგმო და საალრიცხვო სექციები) და საფინანსო (საფინანსო და სავაჭრო სექციები) განყოფილებებით;

ე) **საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ფაკულტეტი**—საბჭოთა მშენებლობისა და საბჭოთა სამართლის განყოფილებებით.

3. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსწავლეთა კონტინგენტი 1933 წლისათვის განისაზღვროს 1.800 კაცით, და მისი დაკომპლექტება მოხდეს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ინსტიტუტების პირველი და მეორე კურსების სტუდენტთა შედგენილობიდან.

მიენდოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს გაანაწილოს ეს კონტინგენტი უნივერსიტეტის შედგენილობაში მოწყობილ ფაკულტეტებს შორის

4. დატოვებულ იქნეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგებლობაში 1-ლ მუხლში აღნიშნული ინსტიტუტების მესამე და მეოთხე კურსები, სალიკვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაციო კურსების სახით; ამასთანავე ამ კურსებზე მეცადინეობა და სტუდენტების გამოშვება უნდა სწარმოებდეს სათანადო ინსტიტუტების საყოველთაო-განმეგბისა და სპეციალობათა პროფილების თანახმად.

5. მოწყობილ იქნეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან: ა) სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები და სექციები მეცნიერებათა ძირითადი დარგების მიხედვით და ბ) ასპირანტურის მომზადება საერთო-სამეცნიერო დისციპლინების მიხედვით.

მიენდოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს იმ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების სია, რომლებიც მოწყობილ უნდა იქნენ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს:

ა) დანიშნოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელი პერსონალი;

ბ) უზრუნველყოს უნივერსიტეტში ნორმალური მეცადინეობის დაწყება არა უგვიანეს 1933 წ. თებერვლის 1-ისა;

გ) შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაზე წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დებულების პროექტი;

დ) უზრუნველყოს უნივერსიტეტი საჭირო დამხმარე დაწესებულებებით.

7. გადაეცეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საფინანსო-ეკონომიური და საბჭოთა შენებლობისა და სამართლის ინსტიტუტების სადგომები, გაწყობილობა, ინვენტარი და ქონება და აგრეთვე პედაგოგიკური ინსტიტუტის სადგომები და ქონების სათანადო ნაწილი.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს: ა) დაუყოვნებლივ გადარიცხოს სახელმწიფო სახსრიდან საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესანახად საჭირო თანხები, რაც გათვალისწინებულია სათანადო უწყებათა ხარჯთაღრიცხვებით ზემოაღნიშნული ინსტიტუტების შენახვისათვის, და ბ) გაითვალისწინოს, საქართველოს სსრ 1933 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოოდ შედგენის დროს, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესანახი ხარჯები საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით.

შენიშვნა. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პედაგოგიკურ ინსტიტუტს შორის ქონებისა, ინვენტარისა და ფულადი სახსრის განაწილებას აწარმოებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, და ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. იანვრის 8.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 9 №-ში 1933 წ. იანვრის 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

62. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტის რეორგანიზაციისა და ქალ. ქუთაისში გადაყვანის შესახებ.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწყობასთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნეს, და მის შედგენილობაში მოეწყოს შემდეგი განყოფილებანი:

ა) **ფიზიკო-მათემატიკური განყოფილება**—ფიზიკისა და მათემატიკის სექციებით;

ბ) **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილება**—ბიოლოგიისა, ქიმიისა და გეოგრაფიის სექციებით;

გ) **ისტორიულ-ლიტერატურული განყოფილება**—ისტორიისა, ქართული ენის და ლიტერატურისა და რუსული ენის და ლიტერატურის სექციებით;

დ) **პედაგოგიკურ-პედოლოგიური განყოფილება**—პედაგოგიკისა, პედოლოგიისა და პოლიტექნიკური სწავლების სექციებით.

პედაგოგიკურ ინსტიტუტში განსაზღვრულ იქნეს ოთხი წლის სწავლების ვადა.

2. 1933 წლის თებერვლის 1-დან სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტი გადაყვანილ იქნეს ქალ. ქუთაისში, და გაიხსნას მიმდინარე წელს ამ ინსტიტუტის პირველი და მეორე კურსი; მოსწავლეთა კონტინგენტი განისაზღვროს 700 კაცით.

3. სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი გადაკეთებულ იქნეს სამხატვრო აკადემიად.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს:

ა) დაუყოვნებლივ დანიშნოს ქუთაისის პედაგოგიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელი პერსონალი;

ბ) უზრუნველყოს ნორმალური მეცადინეობის დაწყება ქუთაისის პედაგოგიკურ ინსტიტუტში არა უგვიანეს 1933 წ. თებერვლის 1-ისა;

გ) უზრუნველყოს ინსტიტუტი საჭირო ქონებით და სახსრით იმ წესისამებრ, რაც გათვალისწინებულია „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწყობის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 8-ის დადგენილების მე-7 მუხლის შენიშვნით;

დ) შეიმუშაოს და 1933 წ. იანვრის 15-თვის წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ღონისძიებანი, რაც გამომდინარეობს ამა დადგენილების მე-3 მუხლიდან.

5. წინადადება მიეცეს ქუთაისის საქალაქო საბჭოს—უზრუნველყოს პედაგოგიკური ინსტიტუტი დამხმარე დაწესებულებებით და საჭირო სადგომებით და აგრეთვე იზრუნოს, რათა ინსტიტუტის პედაგოგიკურ პერსონალს და სხვა ქალაქებიდან მოსულ მოსწავლეთ მიეჩინოთ საჭირო საცხოვრებელი ფართობი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. იანვრის 8.
ტფილისი.
გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 9 №-ში 1933 წ. იანვრის 10.

---

63. დადგენილება ს.კ.ს.

1933 წელს წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის საჭირო მუშაობის შესახებ.

რათა გაძლიერებულ იქნეს საბჭოთა, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღება საქართველოს სსრ-ში წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის საბოლოო ლიკვიდაციის ამოცანებისადმი, და აგრეთვე თავიდან აცილებულ იქნეს აღნიშნული ორგანიზაციების დაქსაქსულობა და შეუთანხმებლობა ამ სფეროში, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განსაზღვრულ იქნეს საქართველოს სსრ-ში წერა-კითხვის უცოდინართა საერთო საორიენტირო რიცხვი, რომელთაც 1933 წელს უნდა გაიარონ სწავლება, 153.000 კაცით, ხოლო წერა-კითხვის მცირემცოდნეთა რიცხვი—72.000 კაცით.

მიენდოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და განათლების სახალხო კომისარიატს—მოახდინონ, ერთი დეკადის ვადაზე, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, აღნიშნულ უცოდინართა და მცირემცოდნეთა კონტინგენტების დაზუსტება და დაანაწილონ ისინი ცალკეულ რაიონებზე და სექტორებზე; თანაც ანგარიშში უნდა მიიღონ წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის ღონისძიებათა დაფინანსების უზრუნველყოფა ადგილობრივი ბიუჯეტით და დაინტერესებული სამეურნეო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხარჯით.

2. წინადადება მიეცეს ყველა სამეურნეო ორგანიზაციას, რომელიც მოვალეა განახორციელოს ღონისძიებანი წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის მის საწარმოში მოსაქმე მუშა-კაცთა და მუშა-ქალთა შორის, გაითვალისწინოს თავის 1933 წლის საფინანსო გეგმებში სათანადო სახსარი. ამ სახსრის რაოდენობა და გამოყენების წესი და ვადები განისაზღვრება აღნიშნულ ორგანიზაციასა და განათლების სახალხო კომისა-

რიატთან დადებული ხელშეკრულობით. ეს ხელშეკრულობა უნდა დაიდვას ორა უგვიანეს 1933 წ. თებერვლის 15-ისა, ისე, რომ ხელშეკრულების დადების ადგილ-ადგილ აღძრული ყველა დავა განხილულ იქნეს „1933 წლისთვის ხელშეკრულებების დადების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 3-ის დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ („სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია“-ს მე-4 №-ი 1933 წ. იანვრის 4-ისა).

3. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს:

ა) წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის საჭირო მუშაობაში მონაწილე საზოგადოებრივი და პროფესიონალური ორგანიზაციების ოპერატიული გეგმების საფუძველზე დადვას ამ ორგანიზაციებთან სათანადო ხელშეკრულობანი;

ბ) მისცეს სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებებს დირექტივები, შეიმუშაონ, ადგილობრივი პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ოპერატიული გეგმების საფუძველზე, წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის ერთიანი დაზუსტებული სარაიონო ოპერატიული გეგმები და დადვან აღნიშნულ ორგანიზაციებთან სათანადო ხელშეკრულობანი;

გ) პროფესიონალურ, კომკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად (კერძოდ „სოცკულტურის“ საზოგადოებასთან) მიიზიდოს, ნებაყოფლობის პრინციპზე, მასწავლებლები წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სწავლებისათვის და მოაწყოს მათი წინასწარი სათანადო მომზადება ამ მუშაობისათვის;

დ) უზრუნველყოს წერა-კითხვის სკოლების პროგრამის გამოცემა სათანადო ტირაჟით და თავის დროზე დაგზავნა და წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის სფეროში მომუშავე მასწავლებელთა პერსონალისათვის მეთოდიკური მინიშნებების დაგზავნა.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობას (სახელგამს)—იხმაროს ღონისძიებანი წერა-კითხვის სკოლების სასწავლო წიგნებითა და სასწავლო დამხმარე წიგნებით სრულიად და თავის დროზე უზრუნველყოფისათვის.

5. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს:

ა) უზრუნველყონ, სათანადო პროფესიონალურ ორგანიზაციებთან ერთად, ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში ახლად ჩაბმულ წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე მუშა-კაცთა და მუშა-ქალთა კონტინგენტების სწავლება რვა თვის განმავლობაში სამუშაოზე შესვლის დღიდან;

ბ) უზრუნველყონ საესებით წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია 1933 წლის მაისისათვის იმ მოქალაქეთა შორის, რომელნიც გაწვეული იქნებიან ჯარში გაწვევამდე სამხედრო მომზადებისათვის

(1911 წელს დაბადებულნი), აგრეთვე რომელნიც სამხედრო სამსახურში ჯარგარეშე სამსახურის წესით და ტერიტორიალური ნაწილების ცალკეულ შედგენილობაში;

ბიბლიოთეკა

გ) უზრუნველყონ ყველა საწერაკითხვო სკოლა სადგომებით, საჭირო ინვენტარით და აგრეთვე გათბობით და განათებით;

დ) დაუყოვნებლივ გაშალონ რაიონებში წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საბაზისო სკოლების ქსელი და დააკისრონ ამ სკოლებს, სასწავლო მუშაობის გარდა, აგრეთვე მეთოდიკური მუშაობის ჩატარება ნებაყოფლობით მომუშავე საზოგადოებრივ სამასწავლებლო აქტივთან;

ე) იხმარონ ყოველი ღონისძიება „სოცკულტურის“ საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის განმტკიცებისათვის;

ვ) გაშალონ იანვარ-თებერვლის განმავლობაში, ადგილობრივ პროფესიონალურ, კომკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, მასური ახსნა-განმარტებითი მუშაობა პროლეტარული და საკოლმეურნეო საზოგადოებრივობის ძალებისა და სახსრის მაქსიმალური მობილიზაციისათვის წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეში, კერძოდ—საანგარიშო მოხსენებების მოწყობით სასოფლო საბჭოების პლენუმებზე, მუშების საერთო კრებებზე, კოლმეურნეების საერთო კრებებზე და სხვა მისთ., რომლებზედაც წარდგენილ უნდა იქნეს კონკრეტული ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის სათანადო გეგმების აღსრულებას.

6. მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—იხმარონ ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს ამა დადგენილების აღსრულებას ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. იანვრის 10.

ტფილისი.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

64. დადგენილება ცაკ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოწყობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო—სოციალისტური მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე, კალასობრივი ბრძოლის გაძლიერების პირობებში—სცნობენ აუცილებელ საჭიროებად ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ იუსტიციის ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განოების გაერთიანებას და რევოლუციონური კანონიერების სფეროში ... განოების მუშაობის განმტკიცები მიზნით ადგენენ:

1. მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ არაგაერთიანებული სახალხო კომისარიატების სისტემაში იუსტიციის სახალხო კომისარიატი—საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულებით გათვალისწინებულ საფუძვლებზე (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-19 №-ი, მუხ. 146) და ამ დებულების მე-14 მუხლში აღნიშნული მოქმედების მოცულობით.

2. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სისტემაში მოქცეულ იქნეს—„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების საფუძვლებით" გათვალისწინებულ პრინციპებზე საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლო მისი ქვემდებარე სახალხო სასამართლოებით და სახელმწიფო პროკურატურა საგამომძიებლო აპარატით.

3. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს—წარუდგინოს საქართველოს სსრ საკანონმდებლო ორგანოებს: ა) ერთი თვის ვადაზე—ამ კომისარიატის დებულების პროექტი და ბ) ორი თვის ვადაზე—სასამართლო წყობილების ახალი დებულების პროექტი და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებში იმ ცვლილებათა შეტანის კანონპროექტი, რაც გამომდინარეობს ამა დადგენილებიდან.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. **მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ს. **თოდრია.**

1933 წ. იანვრის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 6 №-ში 1933 წ. იანვრის 6.

ფასი 48 კაპ.

მთმვლელი № 145. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. შეკვ. № 264. ტირაჟი 1.500.